საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მოძახილი

მოძახილი, 1. სამხმიანი სიმღერის პირველი (ზედა) ხმის სახელწოდება. 2. მომღერალთა გუნდში ძირითადად მეორე, ხოლო მგალობელთა გუნდში შუა ხმა. ქართ. ხალხ. სამხმიანი სიმღერის ერთ-ერთი ზედა (მაღალი) ხმა, რ-იც მთქმელს მოსძახის: „შოთა მღერს, მეფე თემურაზ, არჩილ მოსძახის ძმურება“ (დ. გურამიშვილი). **მ**. შეიძლება იყოს როგორც მეორე, ისე პირველი ხმა (იმის მიხედვით, თუ რომელია მთქმელი). საგუნდო სიმღერაში **მ**. მომღერალს, მთქმელს ეწოდება. ხშირად **მ**-ს წამყვანი როლი აკისრია და მთელ სიმღერას ასრულებს, ხოლო გუნდი მისამღერს ან დასკვნით ფრაზას იმეორებს. **მ**-ს ზოგჯერ საშუალ ხმასაც უწოდებენ. მეორე ხმას სამხმიან გუნდშიც და ექვსხმიანშიც მოძახილი, ანუ თქმა ერქვა და ჰქვია ახლაც (ივ. ჯავახიშვილი).

ლიტ.: ა რ ა ყ ი შ ვ ი ლ ი დ., ქართული მუსიკა, ქუთ., 1925; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბ., 1990.